მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №58
2022 წლის 02 სექტემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 02 სექტემბერის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №5 დადგენილების 54-ე მუხლის თანახმად:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბერი მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ელდარი თოდუა, საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს ,,საქართველოს ფოსტისთვის“ ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
3. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.
   /მომხსენებელი-ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ: ელდარი თოდუა
/საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე/